საქართველო
თავდაცვის სამინისტრო

GEORGIA
MINISTRY OF DEFENCE

MOD 6 15 00320731

28/04/2015

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის"
(GRASS) ვიცე-დირექტორს
ბატონ **პაატა გაფრინდაშვილს**

GRASS
REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 105
თარიღი: 29 04 2015 წ.

(მის: ქ. თბილისი, მიცკევიჩის N27
ტელ: 598-809-512)

ბატონო პაატა,

თქვენი მიმდინარე წლის 7 აპრილის N1/40 და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2015 წლის 24 აპრილის N27838 წერილით კომპეტენციის ფარგლებში გადმოგზავნილ თქვენი განცხადებების პასუხად, რომლითაც ითხოვდით ინფორმაციას უელსის სამიტზე მიღებული ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით გათვალისწინებული ღონისძიებების დროულად და ეფექტიანად განხორციელებისთვის გატარებული/გასატარებელი რეფორმების შესახებ გაცნობებთ შემდეგს:

უპირველეს ყოვლისა გვინდა ავღნიშნოთ, რომ უელსის სამიტზე მიღებული ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელება წარმოადგენს ეროვნული დონის პრიორიტეტს. შესაბამისად, ყველა ხელმისაწვდომი ადგილობრივი რესურსი და საერთაშორისო დახმარება მიმართულია პაკეტით გათვალისწინებული ღონისძიებების სწრაფად და ეფექტურად განხორციელებისკენ.

უელსის სამიტზე ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის მიღების შემდეგ, ქართული მხარე აქტიურად მართავს კონსულტაციებს როგორც ნატოს წევრ სახელმწიფოებთან, ასევე ალიანსის საერთაშორისო სამსახურისა და საერთაშორისო სამხედრო სამსახურის წარმომადგენლებთან. არსებითი პაკეტის განხორციელებასთან დაკავშირებით გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომები როგორც სამუშაო, ასევე მაღალ დონეზე და განხორციელდა ნატოს ხელმძღვანელი პირების ვიზიტები საქართველოში.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და შესაბამისმა უწყებებმა ნატოს საერთაშორისო სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიმუშავეს პაკეტის განხორციელების კონცეფცია, განსაზღვრეს ნატოს ჯგუფის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და თითოეული ინიციატივის განხორციელების გეგმა/პროექტი.

აქვე გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ დოკუმენტებს, ნატოსა და საქართველოს შეთანხმების საფუძველზე მინიჭებული აქვს საიდუმლოების გრიფი, რის გამოც, თავდაცვის სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას, მოგაწოდოთ დეტალური ინფორმაცია მათი შინაარსის შესახებ.

არსებითი პაკეტით გათვალისწინებული ინიციატივების განხორციელების კოორდინაციას და მონიტორინგს უზრუნველყოფს ნატოს ექსპერტებით დაკომპლექტებული ძირითადი

0112 ქ. თბილისი, ზ.ნ. ერალ კვინიტაძის ქ.20 ტელ. (995 32) 2 912058
20GENERAL G. KVINITADZE STR. 0112, TBILISI, GEORGIA, TEL. (995 32) 2 9120 58
E-MAIL: MOD@MOD.GOV.GE

ჯგუფი (NATO Core Team), ხოლო თითოეული ინიციატივის განხორციელებასა და მიმართულების განვითარებაში ქართულ მხარეს დაეხმარებიან ნატოს წევრი ქვეყნების მიერ მოვლენილი პროექტების ლიდერები/მრჩეველები (Project Leaders/Advisors).
ნატოს ექსპერტთა ჯგუფის დაკომპლექტება დამოკიდებულია ნატოს მხარეზე და წარმოადგენს პრიორიტეტულ ფაზას. პროგრამების უშუალო განხორციელება დაიწყება ნატოს შესაბამისი ჯგუფების მიერ ქართულ მხარესთან ერთად პაკეტის ინიციატივების განხორცელების საბოლოო კონცეფციებისა და გეგმების საფუძველზე.
ქართული მხრიდან განსაზღვრულია არსებითი პაკეტის კოორდინატორი (თავდაცვის მინისტრის მრჩეველი) და პაკეტის ინიციატივების განხორციელების პროექტების ქართველი ლიდერები.
ნატოს ჯგუფის დაკომპლექტებისა და კონკრეტული მიმართულების განვითარების მხარდასაჭერად რიგმა სახელმწიფოებმა უკვე გამოხატეს მზადყოფნა წარმომადგენლების გამოგზავნაზე და აღნიშნული მომენტისთვის კონკრეტული პიროვნებების დონეზე უკვე იდენტიფიცირებულია ნატოს ძირითადი (NATO Core Team) და ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნებისა და შეფასების ცენტრის (NATO-Georgia Joint Training and Evaluation Centre-JTEC) ჯგუფების შემადგენლობის უმეტესობა. ნატოს ექსპერტთა ჯგუფის დაკომპლექტების პარალელურად, თავდაცვის სამინისტრო მასპინძლობს ნატოსა და პარტნიორი სახელმწიფოების ექსპერტებს პაკეტით განსაზღვრულ მიმართულებებზე პირველადი შეფასებების განხორციელების მიზნით.
არსებითი პაკეტის განხორციელების კუთხით ქართული მხარის ძალისხმევა და მიღწეული პროგრესი არაერთხელ იქნა დაფიქსირებული ალიანსის და წევრი სახელმწიფოების მხრიდან, მათ შორის თებერვალში ნატოს თავდაცვის მინისტერიალზე მიღებულ ერთობლივ განცხადებაში.
აღსანიშნავია, რომ არსებითი პაკეტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს პერიოდული სწავლებების ჩატარება წარმოადგენს. 2015 წლიდან, ქართულ-ამერიკული სწავლება "AGILE SPIRIT", რომელიც წლების განმავლობაში ტარდებოდა ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატში ამერიკის ევროპული სარდლობის მხარდაჭრით, გადაკეთდა ნატოს სწავლებად. შესაბამისად, არსებითი პაკეტის ფარგლებში, მიმდინარე წლის ივლისში საქართველო უმასპინძლებს ნატოს სწავლებას „AGILE SPIRIT 2015", რომელზეც მოწვეულნი არიან პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლები.

განხორციელებული ვიზიტები:

- უელსის სამიტის შემდგომ ნატოს საერთაშორისო სამსახურის წარმომადგენლები თავდაცვის სამინისტროში სამუშაო ვიზიტით არაერთხელ იმყოფებოდნენ, რომლის დროსაც განიხილეს თითოეული ინიციატივის განხორციელების დეტალები და ხაზი გაუსვეს პაკეტის ეფექტურად განხორციელებას.
- 2015 წლის 28-31 იანვარს ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა. ალექსანდერ ვერშბოუმ თავდაცვის მინისტრთან შეხვედრისას ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელების პროცესი პოზიტიურად შეაფასა. ვიზიტის ფარგლებში, მან ვაზიანის სამხედრო ბაზის ინფრასტრუქტურაც მოინახულა და პოლიგონის შესაძლებლობებს ადგილზე გაეცნო.
- მ.წ. 16-20 მარტს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნებისა და შეფასების ცენტრის (NATO-Georgia Joint Training and Evaluation Centre-JTEC) დაარსების საკითხებზე პირველად უმასპინძლა ნატოს ექსპერტთა ჯგუფს, რომლის მიზანს წარმოადგენდა ცენტრის ჩამოყალიბებასთან მიმართებაში არსებული შესაძლებლობების შეფასება.

ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ქართული მხარის მზადყოფნასა და ძალისხმევას, რათა დროულად და ეფექტურად განხორციელდეს არსებითი პაკეტის ინიციატივები, რაც უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაზრდასა და ნატოსთან თავსებადობის ამაღლებას.
ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა ქართული მხარის მიერ შემუშავებული ცენტრის განვითარების კონცეფცია და სამხედრო წვრთნების სფეროში არსებული შესაძლებლობები.
პირველადი შეფასების საფუძველზე, ნატოს ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებს, განსაზღვრავს სამომავლო გეგმებს და უახლოეს მომავალში წარუდგენს ნატოსა და ქართულ მხარეს. შემდეგ ეტაპზე, წარმოდგენილი რეკომენდაციების შესაბამისად, მიიღება ერთობლივი გადაწყვეტილება წვრთნისა და შეფასების ცენტრის ადგილმდებარეობის, სტრუქტურისა და მისი ფუნქციონირების შესახებ. ამჟამად ქართული მხარე აქტიურად მუშაობს სამოქმედო გეგმაზე, სადაც კონკრეტულად არის გაწერილი ცენტრის დაარსებისათვის საჭირო ღონისძიებები.
ამასთან, უახლოესი თვეების განმავლობაში განხორციელდება ნატოს ექსპერტების, შემფასებელთა და ძირითადი ჯგუფების (NATO Core Team) წარმომადგენლების ვიზიტები საქართველოში.
ნატოს მხარესთან ერთად შემუშავდება პაკეტის განხორციელების სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი თითოეული პროექტისა თუ სფეროს განვითარების მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებები, ფინანსური გათვლები და პასუხისმგებელი უწყებების ფუნქციები.
მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პაკეტის განხორციელების პროცესში აქტიურად არის ჩართული შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო და ნატოს სამეკავშირეო ოფისი, ხოლო კონკრეტული ინიციატივების განხილვის პროცესში მონაწილეობენ ისეთი უწყებები, როგორიცაა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო, კრიზისების მართვისა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭო.

პატივისცემით,

ადმინისტრაცია \ ადმინისტრაცია
ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი
კახაბერ ჩიქოვანი